შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 125

2009 წლის 27 ოქტომბერი
ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და რსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 06 ოქტომბრის №118 დადგენილება („შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ);
2. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“ დანართი 1–ის შესაბამისად;
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე, დაეგზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებსა და მართვის ორგანოებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში რსუ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და პირობებს.

2. რსუ ახორციელებს უმაღლესი პროფესიული განათლებისა და უმაღლესი აკადემიური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს.

3. უმაღლესი აკადემიური განათლების სისტემა სამსაფეხურიანია, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ითვლება პირველი საფეხურის პროგრამებად. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხური შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე დიპლომირებული სპეციალისტისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს. მაგისტრატურა წარმოადგენს უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურს, ხოლო დოქტორანტურა, მესამე საფეხურს.

4. პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120-180 კრედიტს და მისი მიზანია მოამზადოს სპეციალისტები პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის.

5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;

6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გათვალისწინებული იყოს 60 კრედიტზე. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას, რომელთა საფუძველზეც ის შეძლებს საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენას.

7. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მოცულობაა 360 კრედიტი, დიპლომირებული სტომატოლოგის, ასევე დიპლომირებული ვეტერინარის პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს. დიპლომირებული მედიკოსის, დიპლომირებული სტომატოლოგისა და დიპლომირებული ვეტერინარის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს. იგი წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

9. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისთვის სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით.

მუხლი 2 . საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

2. საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

3. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს:

ა. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას (ქართულად და ინგლისურად);

ბ. საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებას (პროგრამის მიზანი და აქტუალობა, მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენცია და უნარ-ჩვევები, დასაქმების სფეროები, სწავლის შემდგომი საფეხური);

გ. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას;

დ. პროგრამის ოფიციალურ ხანგრძლივობას;

ე. პროგრამაში ჩართული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივობის (პრაქტიკის, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადისერტაციო ნაშრომის) დეტალურ აღწერას;

ვ. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას;

ზ. მატერიალურ-ტექნიკური და აკადემიური რესურსის გათვალისწინებით, პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალურ კონტინგენტს;

თ. დასაქმების სფეროს შესწავლის შედეგებს და შრომითი ბაზრის მოთხოვნების პერსპექტიულ მაჩვენებლებს;

ი. ინფორმაციას (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ.

4. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამატებით უნდა შეიცავდეს:

ა. ინფორმაციას სწავლის შესაძლო გაგრძელების შესახებ (დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა უნდა უკავშირდებოდეს ერთ რომელიმე საბაკალავრო პროგრამას);

ბ. სწავლის შედეგების რუკას.

5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა (გარდა რეგულირებადი სპეციალობის პროგრამისა) უნდა მოიცავდეს ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 120 კრედიტს, საფაკულტეტო დისციპლინების 40 კრედიტს და საუნივერსიტეტო დისციპლინების 20 კრედიტს. პროგრამის საერთო მოცულობიდან 10 კრედიტი უნდა დაეთმოს საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომს ან არჩევით მოდულს სპეციალობაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს და შეისწავლოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის მოცულობით, ან თავისი ინტერესების შესაბამისი სასწავლო კურსები იმავე მოცულობით.

6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კვლევით კომპონენტს და იგი უნდა შეადგენდეს პროგრამის სრული მოცულობის არანაკლებ 25%-ს.

7. სადოქტორო პროგრამის სრული მოცულობის არაუმეტეს 40%-ისა უნდა დაეთმოს სასწავლო კომპონენტს, ხოლო დანარჩენი კვლევით კომპონენტს.

8. ფაკულტეტის საბჭოზე საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება მხოლოდ ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემდეგ. საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტიზას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კურიკულუმის კომიტეტი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.

9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კურიკულუმის კომიტეტი ფაკულტეტის დეკანს წარუდგენენ დასკვნებსა და რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

10. ფაკულტეტის დეკანი საგანმანათლებლო პროგრამას ექსპერტიზის დასკვნებთან ერთად განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

11. აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დამოწმებული ასლი აკრედიტაციისთვის ეგზავნება განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს. კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტირებულად ჩათვლის შემდეგ ცხადდება პროგრამაზე მიღება.

12. საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლება. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

13. ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის კომიტეტთან ერთად, მუდმივად ახორციელებენ მონიტორინგს შესაბამისი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პროგრამის ეფექტურობაზე; აწარმოებენ პროგრამის თვითშეფასებას და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

14. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის, აკადემიური რეგისტრაციის არგავლის, პროგრამაზე სწავლის მსურველთა კონტინგენტის სისტემატური შემცირების (ათ სტუდენტზე ნაკლები) ან არასაკმარისი აკადემიური რესურსის შემთხვევაში პროგრამაზე მიღება აღარ გამოცხადდება. ფაკულტეტს შეუძლია შრომის ბაზრის მოთხოვნების, აგრეთვე, აკადემიური რესურსების გათვალისწინებით, შეიმუშავოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 3. რსუ-ს სტუდენტის სტატუსი

1. რსუ-ს სტუდენტის სტატუსით სარგებლობს ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და რსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

2. დიპლომირებული სპეციალისტისა და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

5. რსუ-ში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მხოლოდ ფაკულტეტების მიხედვით. სტუდენტების გადანაწილება სპეციალობებზე განხორციელდება არაუადრეს მეორე სემესტრისა, განცხადებების საფუძველზე, დამატებითი გამოცდის, გასაუბრების და ა.შ. გარეშე.

6. თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა რიცხვი აღემატება პროგრამისთვის დადგენილ მაქსიმალურ კონტინგენტს, სტუდენტთა გადანაწილება სპეციალობებზე ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ წინასწარ დადგენილი წესით. აღნიშნული წესი საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის. სპეციალობაზე სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს ფაკულტეტის დეკანი.

7. სწავლების მეორე წლიდან სტუდენტს უფლება აქვს ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა, თუ პროგრამაზე არსებობს ვაკანსია და ათვისებულ და ასათვისებელ პროგრამებს შორის სხვაობა (შეცვლის ეტაპზე) არ აღემატება 15 კრედიტს. შესაბამის სამართლებრივ აქტს გამოსცემს ფაკულტეტის დეკანი.

8. რსუ-ში სტუდენტის აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ:

ა. სწავლების თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში;

ბ. სწავლის თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში.

9. სტუდენტი ვალდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება და შინაგანაწესი.

10. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე, სტუდენტს უწყდება რსუ-ს სტუდენტის სტატუსი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

11. სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს აგრეთვე:

ა. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გამო;

ბ. დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობის გამო;

გ. პირადი სურვილით;

დ. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვისას;

ე. გარდაცვალებისას;

ვ. შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და ფაკულტეტის დებულებით დადგენილი სხვა საფუძვლებით;

ზ. უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხს, გარდა ამ მუხლის მე–11 პუნქტის “გ”,”დ” და “ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, განიხილავს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის

საბჭოს წარდგინების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას,

13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარდა რსუ-ში მოქმედებს სტატუსის შეჩერების წესიც. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერება ხდება აკადემიურ შვებულებაში გასვლის, ან სწავლის საფასურის გადაუხდელობისას უნივერსიტეტის წესდებით, ან შინაგანაწესით განსაზღვრული პირობებით. სტუდენტს აკადემიური შვებულება შეიძლება მიეცეს ერთი ან ორი წლით.

14. შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი, კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აღდგენის მოთხოვნით მიმართავს რექტორს. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი რექტორს წარუდგენს დასკვნას, გავლილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შესახებ, აქვე უნდა აღინიშნოს სწავლების რომელი ეტაპიდან უნდა გააგრძელოს სტუდენტმა სწავლა.

15. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების ან სტატუსის აღდგენის შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს რექტორი.

მუხლი 4. გადაყვანის და აღდგენის წესით ჩარიცხვა რსუ-ში

1. რსუ-ში გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს აკრედიტებულ სტუდენტს, სწავლების მეორე წლიდან. გადაყვანის წესით აკრედიტებულ სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ 2-ჯერ, შესაბამისი სასწავლო წლის 10 ოქტომბრამდე, ან სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე.

2. რსუ უშვებს აგრეთვე სტუდენტთა მობილობას ფაკულტეტებზე. ამ შემთხვევაში სტუდენტი გადის იგივე პროცედურას, რასაც გადაყვანის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში. სხვა ფაკულტეტის რომელიმე სპეციალობაზე სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანებას რექტორი გამოსცემს აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების გარეშე.

3. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე რსუ-ში გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს არააკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, სწავლების მეორე წლიდან, თუ ჩარიცხვამდე დაგროვებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები იქნება აღიარებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. გადაყვანის წესით არააკრედიტებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა რსუ-ში ჩარიცხვა შესაძლებელია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

5. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთაც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მიიღონ უმაღლესი განათლება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხონ რსუ-ში ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვადების დაცვის გარეშე.

6. აკადემიური საბჭო ცალკეული ფაკულტეტების მიხედვით, პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ცალკ-ცალკე, მომავალი სემესტრისათვის წინასწარ ადგენს გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, რაც წარედგინება აკრედიტაციის ცენტრს. ცენტრის მიერ ხდება გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის განკუთვნილი ადგილების გამოქვეყნება.

7. გადაყვანის წესით ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაცია აკრედიტაციის ცენტრში რეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ადგილებზე მიმდინარეობს რსუ-ში, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით და ვადაში, რომელშიც დეტალურად იქნება განსაზღვრული სტუდენტების რეგისტრაციის პერიოდი, გამოცდის დღე და განცხადებების განხილვის ვადა. სტუდენტების რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

8. გადაყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების რეგისტრაციას აწარმოებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების მართვის დეპარტამენტი. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს

ეროვნული გამოცდების გავლის სერტიფიკატი, სტუდენტის სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ, ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი, პირადობის მოწმობისა და ატესტატის ქსეროასლები. რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ განცხადებები განსახილველად გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს.

9. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა რსუ-ში გადაყვანის წესით ჩარიცხვა, თუ მსურველთა რაოდენობა აღემატება გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის გამოქვეყნებული ადგილების რაოდენობას, აგრეთვე "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან არააკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტთა გადაყვანის წესით ჩარიცხვა რსუ-ში გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის გამოყოფილ ადგილებზე შესაძლებელია, თუ:

ა) არსებობს რსუ-ს წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილება სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ;

ბ) რსუ-ში დადგენილი წესით ჩატარებული წერილობითი გამოცდის შედეგად დასტურდება, რომ პირს ათვისებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროგრამა.

10. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტის გადაყვანის წესით ჩარიცხვები შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსები შეესაბამება რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამას. სასწავლო კურსების საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს რსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილებით სტუდენტის მიერ გავლილი უმაღლესი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ, რომელშიც დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები იმ პროგრამასთან, რომელზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება.

11. რსუ-ში გადაყვანის წესით ჩარიცხვის პროცესს კურირებს რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

12. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს გადაყვანის წესით სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, რომელიც გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაციის ცენტრი გასცემს დადებით დასკვნას.

13. აკრედიტაციის ცენტრის მიერ დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადისა, რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემიდან 15 დღის ვადაში იგზავნება აკრედიტაციის ცენტრში.

14. სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხა რსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე, გარიცხვის/ამორიცხვის შემდეგ შეიძლება ჩაირიცხოს რსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აღდგენის წესით. ამ შემთხვევაში სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება გადაყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვისათვის ამ თავით დადგენილი წესით.

15. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული/ამორიცხული პირები, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხულნი იყვნენ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე, ამავე დაწესებულებაში შეიძლება ჩაირიცხონ აღდგენის წესით მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

16. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული სტუდენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხვის შემთხვევაში, რსუ მისთვის განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ეტაპს, სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის თაობაზე წერილობითი მოტივირებული დასკვნის შესაბამისად. აღნიშნულ დასკვნაში მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამასთან, რომელზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება.

17. სწავლების პირველ და მეორე საფეხურზე სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ცნობისა და აღიარების საკითხზე გადაწყვეტილებას ღებულობს რსუ-ს აკადემიური საბჭო, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით. აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე გამოიცემა რექტორის

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი. სწავლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის (ან მასთან გათანაბრებული პროგრამის) აღიარებისა და ცნობის საკითხზე გადაწყვეტილებას ღებულობს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

18. გადაყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვისათვის, ამ დებულებით დადგენილი წესის მიხედვით ხორციელდება აგრეთვე რსუ-დან გარიცხული/ამორიცხული იმ პირის აღდგენა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე და რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველად რეგისტრაციამდე არა უმეტეს 10 წლის წინ გაირიცხა რსუ-დან შემდეგი მიზეზით:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) თანხის გადაუხდელობის გამო;

გ) უცხო ქვეყანაში წასვლასთან დაკავშირებით;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თუ პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

19. გადაყვანის წესით ჩარიცხვის, აღდგენის ან სპეციალობის შეცვლის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე რსუ-სა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის ათვისების წესი

1. რსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება დასწრებული სწავლების ფორმით ან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა გულისხმობს სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი სასწავლო გეგმის შინაარსს, მოცულობასა და ათვისების წესს. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა შეიძლება შემუშავდეს როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის.

2. სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე არა უმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა). უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურზე რეკომენდებულია 1 კრედიტში არაუმეტეს 6 საკონტაქტო საათისა. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემთხვევაში ერთ კრედიტში საკონტაქტო საათების რაოდენობა არ შეიძლება შეადგენდეს 3 საათზე ნაკლებს.

3. რსუ-ში სასწავლო წელი ორსემესტრიანია. სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან:

- 15 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას;
- 3 კვირა – ძირითად საგამოცდო სესიებს;
- 2 კვირა – დამატებით საგამოცდო სესიებს.

4. აუცილებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.

5. სტუდენტის საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
- სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია) მუშაობას;
- სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას.

6. სტუდენტს უფლება აქვს დასაბუთებულად მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენა და მონაწილეობა მიიღოს მის შემუშავებაში. სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

7. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორიცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.). სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი.

8. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

9. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

10. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალი ვალდებულია თავისი ინდივიდუალური დატვირთვის ფარგლებში აწარმოოს სასწავლო პროცესი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, მიაწოდოს სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული განათლება. ასახოს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით გათვალისწინებული კრედიტების აღების პირობები სილაბუსში, რომელიც წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის.

სილაბუსში უნდა აისახოს:

1) სასწავლო კურსის მოდულის დასახელება;
2) სასწავლო კურსის სტატუსი;
3) სასწავლო კურსის ხანგრძლივობა;
4) სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში, ფორმატი, საათების განაწილება საუდიტორიო და დამოუკიდებელ სამუშაოს შორის;
5) ინფორმაცია პროფესორის/მასწავლებლის შესახებ (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, ფაკულტეტისა და დეპარტამენტის დასახელება, სადაც მუშაობს ლექტორი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
6) სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;
7) სასწავლო კურსის/მოდულის შესწავლის წინაპირობები;
8) სასწავლო კურსის ფორმატი;
9) სასწავლო კურსის შინაარსი;
10) შეფასების კომპონენტები და ქულათა განაწილება კომპონენტებს შორის;
11) სავალდებულო ლიტერატურა;
12) დამატებითი ლიტერატურა;
13) სწავლის შედეგები.

სილაბუსი განიხილება შესაბამისი დეპარტამენტის და კურიკულუმის კომიტეტის მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.

11. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

12. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც თავის მხრივ მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას და მიმდინარე რეიტინგულ შეფასებას. შუალედური შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა კომპონენტებსაც;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

13. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა.

14. დასკვნითი გამოცდა სასურველია ჩატარდეს წერითი ფორმით. საგამოცდო ბილეთი მაქსიმალურად უნდა მოიცავდეს გავლილ მასალას და უნდა შედგებოდეს ტესტების, კითხვების (მაგალითების, ამოცანების და ა.შ.) და თემებისაგან.

15. სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 11 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

16. სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში.

17. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

18. სტუდენტი "ჩაიჭრა" შეფასებას ღებულობს აგრეთვე:

ა. თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ. ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

19. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

20. სტუდენტს დასკვნითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების გაპროტესტების უფლება აქვს შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს სამი დღისა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა დასკვნითი გამოცდა ტარდება რსუ–ს გამოცდების და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრში). თუ დასკვნითი გამოცდა ტარდება გამოცდების და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრში სტუდენტს გამოცდის შედეგის გაპროტესტების უფლება აქვს მხოლოდ გამოცდის დასრულების დღეს.

21. სასწავლო კურსში/მოდულში "(F) ჩაიჭრა" შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე დამატებით გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნ(ებ)ის დარეგისტრირების მიზნით.

22. სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX) ან არ გამოცხადდა გამოცდაზე, საპატიო მიზეზით (უწყისში დაფიქსირებულია „არგამოცხადება" და სტუდენტი დეკანატში წარადგენს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს) უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდებისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო „ჩაიჭრა", „ვერ ჩააბარა" ან „არ გამოცხადდა", ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა" შეფასებით.

23. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, 100-ქულიანი სისტემით ხდება აგრეთვე პრაქტიკის, საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომების

შეფასებაც. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი ნორმებით.

24. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, სტუდენტი ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, დეკანატის მიერ დადგენილ ვადაში, გადის აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შერჩევას და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას (აფორმებს სასწავლო ხელშეკრულებას დანართი 1-ის შესაბამისად). სტუდენტს უფლება აქვს ერთი სასწავლო წლისთვის დაარეგისტრიროს არაუმეტეს 75 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები.

25. დამატებით სპეციალობაზე დასარეგისტრირებლად სტუდენტი მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს. თუ დამატებით საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა რიცხვი აღემატება პროგრამით გათვალისწინებულ კონტინგენტს, ფაკულტეტის მიერ განისაზღვრება პროგრამაზე დაშვების პირობა. დამატებით სპეციალობაზე სტუდენტის დაშვების შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს რექტორი დეკანის წარდგინებით. სტუდენტის მიერ დამატებითი სპეციალობის ფარგლებში დარეგისტრირებული საგნები/მოდულები აისახება აგრეთვე სასწავლო ხელშეკრულებაში.

26. სტუდენტს სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში შეუძლია შეცვალოს სასწავლო ხელშეკრულება პირადი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 6 . საბაკალავრო (სადიპლომო)/სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება-წარდგენა

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით შეიძლება ითვალისწინებდეს საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის შესრულებას. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ ინოვაციურ კვლევას.

2. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. საბაკალავრო ნაშრომის თემის დამტკიცება უნდა მოხდეს დაცვამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის თემის დამტკიცება - სამაგისტრო პროგრამის პირველი სასწავლო წლის განმავლობაში.

თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე.

3. სტუდენტმა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს ყდაში აკინძული და გაფორმების დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი ნორმატივები:

ა. ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;

ბ. შრიფტის სახე – AcadNusx;

გ. შრიფტის ზომა – 12;

დ. სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;

ე. ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა – 3 სმ, მარჯვენა – 1,5 სმ, ზემოთ – 2 სმ, ქვემოთ 2 სმ;

ვ. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდესარანაკლებ 50 გვერდს, დანართების გარეშე, ხოლო საბაკალავრო ნაშრომისა - არანაკლებ 25 გვერდს.

4. ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს დადგენილი სტრუქტურით. აღნიშნულ სტრუქტურაში იგულისხმება:

ა. თავფურცელი – წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდს. თავფურცელზე, ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის დასახელება უნდა გამოიყოს ქვედა ნაწილისაგან 2-3 ს-ით, მომდევნო ხაზზე 1,5 ინტერვალით ფაკულტეტის დასახელება. შემდეგ აღინიშნება სტუდენტის სახელი და გვარი, შუა ნაწილში - ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა 16), ნაშრომის სათაურის შემდეგ იწერება სპეციალობის დასახელება და საძიებელი ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი. თავფურცლის მარჯვენა მხარეს აღინიშნება თემის ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა ან აკადემიური ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ.: ბათუმი - 2009);

ბ. ანოტაცია – მოკლედ უნდა აღიწეროს ნაშრომის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები, ძირითადი შედეგები (ასევე სამაგისტრო ნაშრომის სიახლე). ანოტაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. იგი უნდა დაერთოს ნაშრომს როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე;

გ. სარჩევი – თანმიმდევრულად უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება დასაწყისი გვერდების ნომრების მითითებით;

დ. შესავალი – უნდა აისახოს საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ე. ძირითადი ტექსტი – იგი ასახავს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ვ. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნა – წარმოადგენს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, სადაც უნდა აისახოს მიღებული ახალი მეცნიერული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პერსპექტიული გამოყენების სფერო. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნაში უნდა აისახოს ნასრომის ძირითადი შედეგები, რაც მოკლედ და კონკრეტულად უნდა პასუხობდეს ნაშრომის მიზნებსა და დასმულ ამოცანებს.

ზ. გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

თ. საილუსტრაციო მასალა (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურა

1. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის დაცვა უნდა ჩატარდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შედგენილი კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტით. ნაშრომის დაცვის პროცედურა საჯაროა. ნაშრომის წარდგენისათვის მომხსენებელს ეძლევა 10-15 წუთი.

2. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, სპეციალობას, ხელმძღვანელს და რეცენზენტს. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სტუდენტს. სტუდენტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზნები, ამოცანები და ძირითადი შედეგები.

3. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომების დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება თითოეული ნაშრომი.

4. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომი კომისიის მიერ უნდა შეფასდეს წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, ECTS–ის შეფასებათა ასქულიანი სისტემით. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი როგორც კომისიის წევრებისათვის, ისე სტუდენტებისთვისაც.

5. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

6. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. მაგისტრანტი ვალდებულია დეკანატის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომი და წარდგეს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე.

2. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) ხდება იმ დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სამაგისტრო პროგრამა. დეპარტამენტი განიხილავს შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობას სამაგისტრო ნაშრომის მიმართ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან, საჭიროების შემთხვევაში აძლევს მაგისტრანტს რეკომენდაციებს არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. წინასწარი განხილვის გარეშე ნაშრომი არ დაიშვება საჯარო დაცვაზე.

3. განხილული სამაგისტრო ნაშრომისათვის დეპარტამენტი გამოყოფს რეცენზენტს - დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აქვს სამეცნიერო კვლევები მეცნიერების იმ

დარგში, რომელსაც განეკუთვნება სამაგისტრო ნაშრომი. რეცენზენტმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის შესახებ ნაშრომის წარდგენიდან 2 კვირის განმავლობაში. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საკვალიფიკაციო კომისიაზე. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობას, მის თავმჯდომარესა და მდივანს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და დეკანის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი.

5. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან და შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვოს არანაკლებ ხუთი წევრისა.

6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღს ადგენს ფაკულტეტის დეკანი დაცვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა. დაცვის ორგანიზებისათვის ფაკულტეტის დეკანს შუამდგომლობით მიმართავს შესაბამისი დეპარტამენტი. მაგისტრანტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ორი კვირით ადრე ნაშრომის ერთი ეგზემპლარი გადასცეს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას.

7. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულების შემთხვევაში;

8. დაცვა არის საჯარო. დაცვის პროცესზე და შედეგზე უნდა შედგეს ოქმი;

9. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:

- სამაგისტრო ნაშრომის წარდგენას (15-25 წუთი);
- კითხვა-პასუხს;
- დისკუსიას;
- შეფასებას.

10. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი თემას წარმოადგენს ელექტრონული პრეზენტაციის (“Power point”-ით) ფორმით და აქცენტს აკეთებს თემის აქტუალობაზე, მიზანსა და ამოცანებზე, ინოვაციაზე. დაცვაზე უნდა აღინიშნოს კვლევის საგნის თანამედროვე მდგომარეობა, კვლევის ობიექტები და მეთოდები, საკუთარი შედეგები, დასკვნები.

11. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს აცნობს რეცენზენტის შეფასებას.

12. საჯარო დაცვის პროცედურა გულისხმობს აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საკვალიფიკაციო კომისიის დახურულ სხდომაზე.

13. საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ მაქსიმუმ 100 ქულით და ითვალისწინებენ შესაბამისი პროგრამით დადგენილ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს.

14. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება საკვალიფიკაციო კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

15. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შესახებ მაგისტრანტს აცნობს საგამოცდო კომიისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე.

16. დაცვის პროცედურის შესახებ ოქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი. საკვალიფიკაციო კომისიის თითოეული წევრი სამაგისტრო ნაშრომისათვის მინიჭებულ ქულას აფიქსირებს შეფასების ფურცელში (დანართი 2) და ადასტურებს პირადი ხელწერით. შეფასების ფურცლებიდან სპეციალურ ოქმში (დანართი 3) შეფასებები გადააქვს კომისიის მდივანს, აქვე ფიქსირდება საბოლოო შეფასებაც. საკვალიფიკაციო კომისიის წევრები ხელმოწერით ადასტურებენ შეფასებას. შეფასების ფურცლები და საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები გადაეცემა დეკანატს და ისინი ინახება მაგისტრანტის პირად საქმეში.

17. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება საკრედიტო სისტემის შეფასების შესაბამისად, მე-5 მუხლის პუნქტი 17-ის მიხედვით. კვლევითი კომპონენტი ითვლება შესრულებულად, თუ საკვალიფიკაციო კომისია სამაგისტრო ნაშრომს შეაფასებს მაქსიმალური შეფასების 51-100%-ით. თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 41-50%-ით მაგისტრანტს უფლება აქვს თემა ხელმეორედ წარმოადგინოს 3 თვის განმავლობაში. თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 0-40%-ით, მაგისტრანტი ვალდებულია თემა დაამუშაოს ხელახლა და წარმოადგინოს დასაცავად 6-12 თვის განმავლობაში.

18. მაგისტრანტმა განმეორებითი დაცვის დანიშვნის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

19. მაგისტრანტს უფლება აქვს წარდგეს სამაგისტრო ნაშრომის განმეორებით დაცვაზე მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 9. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი

1. დოქტორანტურაში სწავლის ვადა განისაზღვრება მინიმუმ 3 წლით და მოიცავს 180 კრედიტს. ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობითა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტურაში სწავლის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს 5 წლამდე კრედიტების იგივე მოცულობის შენარჩუნებით.

2. დოქტორანტურა გულისხმობს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისაგან განსხვავებულ სწავლების ფორმებს, კერძოდ, დოქტორანტურაში სწავლება ინდივიდუალური სასწავლო პროგრამებით, სემინარული მუშაობითა და ინტერდისციპლინური მიდგომით ხორციელდება. სწავლების ეს ფორმა შერწყმულია პრაქტიკულ სამუშაოსთან და კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისებასა და გამოყენებასთან.

3. დოქტორანტურაში სწავლის ფორმატი დღის დასწრებული სწავლებაა. პარტნიორ უნივერსიტეტებთან კოორდინაციის მიზნით დასაშვებია დისტანციური სწავლებაც.

4. რსუ უზრუნველყოფს დოქტორანტის სწავლისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

5. დოქტორანტურის კვლევითი ან/და სასწავლო პროგრამების განხორციელების მიზნით, რსუ უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან.

6. რსუ ხელს უწყობს დოქტორანტის მობილობას საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

7. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განაწილებას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სასწავლო კომპონენტი დეტალურად უნდა იყოს ასახული სადოქტორო პროგრამის შესრულების გეგმა-ბარათში.

8. დოქტორანტი ყოველი აკადემიური წლის დასრულებისას წარსდგება ანგარიშით შესაბამისი დეპარტამენტის სხდომაზე, რაც ფორმდება სათანადო ოქმით. ანგარიში დადასტურებული უნდა იყოს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. ოქმის და ანგარიშის თითო ეგზემპლარი გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს და ჩაიკვრება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 10. დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი

1. კვლევითი კომპონენტი მოიცავს დისერტაციის (სადისერტაციო ნაშრომის) შესრულებას, დისერტაციის ძირითადი შედეგების ამსახველ სამეცნიერო პუბლიკაციებს, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში (ფორუმებში) და დისერტაციის დაცვას.

2. სადისერტაციო მასალების პუბლიკაციისათვის რეკომენდებულ გამოცემათა ნუსხას და სამეცნიერო კონფერენციების (ფორუმების) კრიტერიუმებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

3. კვლევით კომპონენტში კრედიტების განაწილებას და დატვირთვას განსაზღვრავს სამეცნიერო ხელმძღვანელი, რაც დეტალურად უნდა იყოს ასახული სადოქტორო პროგრამის შესრულების გეგმა-ბარათში.

მუხლი 11. მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომისადმი

1. დოქტორანტურის დასრულების შემდეგ დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადისერტაციო ნაშრომი. სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის კვლევითი მუშაობის შედეგს და შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს.

2. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შექონდეს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევაში;

3. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების

შემთხვევაში, კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე სადისერტაციო მაცნეს სახით;

4. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატს და სტილს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო;

5. ნაშრომის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა მისი წინასწარი განხილვა (აპრობაცია) იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფში და/ან დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა. ნაშრომი დადებითი შეფასების შემდეგ წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

6. სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიზას ატარებს სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დარგის მინიმუმ 3 ექსპერტი, რომლებიც არ მონაწილეობდნენ სადოქტორო პროგრამის ექსპერტიზასა და შესრულებაში.

7. ექსპერტთა უმრავლესობის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ნაშრომი საჯარო დაცვისთვის გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 12. კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

- ფაკულტეტის დეკანი;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- კურიკულუმის კომიტეტის წევრ(ებ)ი;
- ფაკულტეტის მდივანი.

2. კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, ადგენს, შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს პროგრამის მოთხოვნები. სტუდენტის მიერ პროგრამის მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის. პირად საქმეში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში სტუდენტს აძლევს მათი გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს.

3. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

4. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით.

5. პირს, რომელმაც არ, ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა სათანადო მოწმობა.

6. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ (გარდა დოქტორანტურისა), ასევე გადაწყვეტილებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ღებულობს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

7. პირისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, რის საფუძველზეც უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას.

დანართი 1

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სასწავლო ხელშეკრულება

სტუდენტის გვარი, სახელი: პირადი ნომერი: ფაკულტეტი: ძირითადი სპეციალობა: დამატებითი სპეციალობა: უნივერსიტეტში ჩარიცხვის წელი:

საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და სპეციალობის მოდულები/სასწავლო კურსები

№	მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა
1.				
2.				
3.				
4.				
5				
6				
7				

დამატებითი სპეციალობის მოდულები/სასწავლო კურსები

№	მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა
1.				
2.				
3.				
4.				
5				

ხელმეორედ შესასწავლი **მოდულები/სასწავლო კურსები**

№	მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა
1.				
2.				
3.				
4.				

სტუდენტი
ვადასტურებ, რომ ვიცნობ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესს და შესაბამისად, ამ წესის მე-5 მუხლის 24-ე პუნქტით განსაზღვრული აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას. თარიღი: ხელმოწერა:

ფაკულტეტი
ჩვენ ვადასტურებთ, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მოთხოვნათა შესაბამისად სტუდენტმა ___ - ___ სასწავლო წლისათვის აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით ფაკულტეტთან გააფორმა წინამდებარე სასწავლო ხელშეკრულება.
ფაკულტეტის დეკანი თარიღი: ხელმოწერა:
კურატორი (ტუტორი) თარიღი: ხელმოწერა:

დანართი №2

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფურცელი №

“ ___ “ _____ 200 – წ.
ფაკულტეტის დასახელება _____
სპეციალობა _____
მაგისტრანტი _____

შეფასების კომპონენტები:

№	კომპონენტის დასახელება	კომპონენტის მაქსიმალური ქულა	კომისიის წევრის მიერ მინიჭებული ქულა
1			
2			
3			
4			
5			
კომისიის წევრის მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამი			

კომპონენტების შეფასებათა მაქსიმალური მაჩვენებლების ჯამი უნდა შეადგენდეს 100 ქულას.
საკვალიფიკაციო კომისიის წევრი _____
(სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა)
ხელმოწერა _____-_____

დანართი 3

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საკვალიფიკაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის
ოქმი №

”-----” -------200 წ.
ფაკულტეტი ----------
სამაგისტრო სპეციალობა ----------
მაგისტრანტი (სახელი, გვარი) ----------
სპეციალობა ----------
სამაგისტრო ნაშრომის თემა ----------

სამაგისტრო ნაშრომის დაცვას ესწრებოდნენ

საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე ----------
(აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

საკვალიფიკაციო კომისიის წევრები (აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------

საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი ----------
(აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

სამაგისტრო ნაშრომისათვის საკვალიფიკაციო კომისიის ცალკეული წევრის მიერ მინიჭებული ქულა:

№	საკვალიფიკაციო კომისიის წევრი	აკადემიური თანამდებობა/ აკადემიური ხარისხი	შეფასება (0-100 ქულა)

სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა (შეფასება განისაზღვრება ცალკეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით) ”----------” ქულით.
საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა დასტური, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაზე:
კომისიის წევრთა ხელწერები:

საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე ----------
1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------

საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი ----------

შენიშვნა:
ოქმი ინომრება ცალკეული მაგისტრანტისთვის დაცვის რიგითობის შესაბამისად. დაცვის შემდეგ ოქმი გადაეცემა დეკანატს. ოქმის მართებულ წარმოებაზე პასუხისმგებელია საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი და თავმჯდომარე.